


სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო

ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მიერ

2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში:

1 იანვარი 2019 წელი



ვახტანგ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეები,
პრაიმშოუს საახალწლო გადაცემაში ტელეკომპანია იმედზე
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების - მე- IV, V წლის მოსწავლეები

8-13 იანვარი 2019 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

პ.ჩაიკოვსკის ბალეტი "მაკნატუნა"

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების - მე- IV წლის მოსწავლეები

15 იანვარი 2019 წელი





ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

ვ.ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის საახალწლო კონცერტი ორ მოქმედებად
საკონცერტო პროგრამა და "ექიმი აიბოლიტი"

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების I, II, III, IV,V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები

და I, II, III, IV -მოსამზადებელი კლასის მოსწავლეები.

18-20 იანვარი 2019 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი

ბალეტი "წუნა და წრუწუნა"

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების- მე-IV, V წლის მოსწავლეები.

27 თებერვალი 2019 წელი



ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 109 წლის იუბილე.
მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების I წლის მოსწავლეები და პედაგოგები.

27 თებერვალი, 2 - 3 მარტი 2019 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი
ბალეტი "ლაურენსია"
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების- მე- III წლის მოსწავლეები.


3 მარტი 2019 წელი



საქართველოში იაპონიის სრულუფლებიანი ელჩის რეზიდენციაში გამართული საქველმოქმედო საღამო, პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილის და იაპონიის ელჩის ტადაჰარა უეჰარას ინიციატივით.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების - I, III , IV წლის მოსწავლეები



ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებმა, ქ-ბ ნინო ანანიაშვილის მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღეს იტალიაში ქალაქ ლერჩეში "დომენიკო მოდუნის" საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე. საუკეთესოთა შორის პირველი ადგილი კლასიკურ ვარიაციაში მიიღო სასწავლებლის მოსწავლემ მარი ლომჯარიამ (სწავ მე-8 წლ), საუკეთესოთა შორის მესამე ადგილი სოფო ნაჭყებია (სწავ მე-8 წლ), საუკეთესოთა შორის მეექვსე ადგილი დაიმსახურა ცინცაძე სოფიკომ, და ბუჯიაშვილი ელენემ (სწავ მე-7 წლ), აგრეთვე სასწავლებლის მოსწავლეებმა: სესილი გუგუჩიამ, მარიამ ლეკიშვილმა, ლიკა გუგუშვილმა, ნინო ისიპაშვილმა, და ანასტასია წოწონავამ ჯგუფურ ცეკვაში დაიმსახურეს საუკეთესოთა შორის მესამე ადგილი. საუკეთესოთა შორის მეორე ადგილი დაიმსახურა ნიტა ლომიძემ (კონტენ-პორარი). მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

19-21 აპრილი 2019 წელი



თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

პ. ჩაიკოვსკის "მძინარე მზეთუნახავი."

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების IV, V წლის მოსწავლეები.

7 მაისი 2019 წელი



თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის გამოსაშვები საღამო ორ მოქმედებად საკონცერტო პროგრამა და ლ.მინკუსის ბალეტი "პაზიტა"

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, II, III და IV კლასის მოსწავლეები
და სწავლების -I, II, III , IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები

9 მაისი 2019 წელი



Silk Factory Studio. გამოფენა - პერფომანსი

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის თეატრალური განხრის, სწავლების - მე- VI, VII, VIII წლის მოსწავლეები

17-19 მაისი 2019 წელი



თბილისის ზ.გვალაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

ბალეტი "ამაო სიფრთხილე" პრემიერა

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების IV, VII წლის მოსწავლეები.

11 ივნისი 2019 წელი



თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

"ოქროს ტალღა"

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების IV, V წლის მოსწავლეები.

22-23 ივნისი 2019 წელი



თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

ბალეტის ფესტივალის გახსნა. ჰოლბერ სიმონ პაული "კონსერვატორია"

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების III, IV წლის მოსწავლეები.

27 ივლისი - 16 აგვისტო 2019 წელი



იაპონია. ქ. ტოკიო

ერთობლივი პროექტი ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მხარდაჭერით - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი და იაპონიის ქ. ტოკიოს საერთაშორისო საბალეტო სკოლა.

ლ. მინკუსის ბალეტი - "ზაიადერა" და საკონცერტო პროგრამა.

სასწავლებელის მოსწავლეებმა აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ტოკიოში გამართულ საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე. სასწავლებლის მოსწავლემ ანა დათუნაშვილმა დაიმსახურა საუკეთესოთაშორის მე-2- ადგილი ნომინაციაში ვარიაცია. აგრეთვე სასწავლებლის ოთხი მოსწავლე საუკეთესოთა ათეულში შევიდა: სალომე იარაჯული მე-4 ადგილი, ფოცხიშვილი მარი მე-4 ადგილი, მირიანაშვილი მარი მე-8 ადგილი, საგინაძე ნინო მე-10 ადგილი.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების IV, VI წლის მოსწავლეები

5 ოქტომბერი 2019 წელი



თბილისობა 2019. ორბელიანის მოედანი.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

5, 6 ოქტომბერი 2019 წელი



თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.


ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტი "ლაურენსია"

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - IV კლასის მოსწავლეები

და სწავლების IV, V წლის მოსწავლეები

16,17, 18 ოქტომბერი 2019 წელი




თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

პრემიერა ოპერისა და ბალეტის თეატრში -ავგუსტ ბურნონვილის ბალეტის "ნატალის" განახლებული ვერსია 10 წლის შემდეგ.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის - მე-II, III წლის მოსწავლეები და სწავლების მე- I, II, IV კლასის მოსწავლეები.

24-28 ოქტომბერი 2019 წელი



რუმინეთის ქალაქ სიბიუში გაიმართა საერთაშორისო საბალეტო კონკურსი "SIBIU DANCE COMPETITION." რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლების მოსწავლეებმა.

საუკეთესოთა შორის მესამე ადგილი დაიმსახურა ელენე ბუჯიაშვილმა(კლასიკური ვარიაცია), ხოლო სასწავლებლის მოსწავლეები: ანასტასია წოწონავა, ანა დათუნაშვილი, მარი მირიანაშვილი მოხვდნენ საუკეთესოთა ათეულში.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების - მე- V, VII, VIII წლის მოსწავლეები

7 დეკემბერი 2019 წელი




თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დიდი დარბაზი. ბალეტის მოყვარულთა საზოგადოების მიერ ორგანიზებული სადამო. ბალეტის მოყვარულთა საზოგადოებამ სასწავლებლის მოსწავლეები დააჯილდოვა სიგელებით და სტიპენდიებით.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის - მე-II, III, IV წლის მოსწავლეები და სწავლების მე- III, IV, VI, VII, VIII კლასის მოსწავლეები.

13 დეკემბერი 2019 წელი



ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში სტუმრად იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული მართლწესრიგის ოფიცრის სამსახურის წარმომადგენლები და ქალაქ თბილისის 150-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელები. რომლებიც დაესწრნენ კლასიკური ცეკვის გაკვეთილს და გაეცნენ საბალეტო ხელოვნებას.

25 დეკემბერი 2019 წელი

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის მოედანზე გამართულ საახალწლო ღონისძიებაში "ისტორიით სავსე ახალი წელი"

29 დეკემბერი 2019 წელი



თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ საახალწლო საღამოზე, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

31 დეკემბერი 2019 წელი

ტელეკომპანია ტვ პირველის საახალწლო კონცერტი